

ქეთევან რჩეულიშვილი

სოციოლოგიური კვლევის მეთოდები უმაღლესი განათლების სფეროში

(მცირე მეთოდოლოგიური გზამკვლევი)

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში, რომელშიც სულ უფრო იზრდება მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზზე დაფუძნებული მიდგომების მნიშვნელობა, მუდმივად ფართოვდება სოციოლოგიური კვლევების გამოყენების არეალიც. წინამდებარე მეთოდოლოგიური გზამკვლევი წარმოდგენილია სოციოლოგიური კვლევის მეთოდების პროდუქტიულად გამოყენების შესაძლებლობები უმაღლესი განათლების სფეროში. მასში განხილულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, მათი სპეციფიკა და კვლევის ჩატარების ეტაპები.

ასევე, ცალკეული ნიმუშების სახით, წარმოდგენილია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში კვლევის ცალკეული მეთოდების ეფექტიანი გამოყენების სტრატეგიები. გზამკვლევი განხილული სოციოლოგიური კვლევის მეთოდები ასევე პროდუქტიულად შეიძლება იქნეს გამოყენებული ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სფეროშიც.

გზამკვლევის დანიშნულებაა, დაინტერესებულ პირებს უფრო ახლოს გააცნოს სოციოლოგიური კვლევის მნიშვნელობა, კვლევის ცალკეული მეთოდები და შესძინოს საბაზისო უნარები მათი პრაქტიკულად გამოყენების მიმართულებით.

საკვანძო ცნებები: სოციოლოგიური კვლევა, უმაღლესი განათლება, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, მეთოდოლოგიური გზამკვლევი, ხარისხის უზრუნველყოფა.

Abstract

Data-driven approaches are becoming increasingly vital in various fields of the modern world. As a result of this trend, the scope of sociological research is expanding to address the growing demand for data-informed insights. This methodological guide examines the effective utilization of sociological research methods within the context of higher education. It provides a detailed examination of both quantitative and qualitative research methodologies, outlining their specific characteristics and the various stages of the research process. Furthermore, the guide offers strategic examples of how these methods can be applied effectively in the quality assurance of higher education. The sociological research methods discussed are also relevant to quality assurance processes in primary and secondary education.

The primary aim of this guide is to familiarize readers with the importance of sociological research and its methodologies while providing them with the essential skills for practical application.

Keywords: Sociological Research, Higher Education, Quantitative and Qualitative Research Methods, Methodological Guide, Quality Assurance.

სარჩევი

სოციოლოგიური კვლევის მეთოდები უმაღლესი განათლების სფეროში.....	1
შესავალი:	4
სოციოლოგიური კვლევა - მისი რაობა და მნიშვნელობა უმაღლესი განათლების სფეროში	4
კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები	7
რომელი მეთოდით კვლევაა უმჯობესი უმაღლესი განათლების სფეროში?	7
რაოდენობრივი კვლევის მეთოდი: მისი შესაძლებლობები და ძირითადი უპირატესობები	12
რაოდენობრივი კვლევის ძლიერი მხარეები:.....	13
რაოდენობრივი კვლევის ძირითადი ეტაპები.....	16
საკვლევის პრობლემისა და კვლევის ინსტრუმენტის განსაზღვრა.....	16
რაოდენობრივი კვლევის კითხვარის ტიპები.....	17
შერჩევა	18
კითხვარის შემუშავება და კითხვის დასმის ტექნიკები	20
კითხვარის პილოტაჟი.....	22
კვლევის შედეგების კოდირება.....	22
მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია.....	23
თვისებრივი კვლევის მეთოდი: მისი შესაძლებლობები და ძირითადი უპირატესობები	23
თვისებრივი კვლევის ძლიერი მხარეები:.....	24
თვისებრივი კვლევის ძირითადი ეტაპები.....	25
კვლევის მიზნისა და საკვლევი კითხვის განსაზღვრა	25
კვლევის მეთოდის შერჩევა, საორიენტაციო გზამკვლევის შექმნა	26
შერჩევა	27
მონაცემების შეგროვება.....	27
მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია.....	28
რეზიუმე.....	28

შესავალი:

სოციოლოგიური კვლევა - მისი რაობა და მნიშვნელობა უმაღლესი განათლების სფეროში უმაღლესი განათლების თანამედროვე საერთაშორისო სივრცეში მზარდი მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზზე დაფუძნებულ (data-driven) მიდგომებს როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უსდ) მენეჯმენტსა და გადაწყვეტილებების მიღების პოლიტიკაში, ისე მათ სტრატეგიულ განვითარებაში¹. ამდენად, სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა უმაღლესი განათლების სფეროში სოციოლოგიურ კვლევას და მის ხარისხიან და სისტემურ განხორციელებას. კვლევები სტრატეგიულ როლს ასრულებს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების (უსდ) შიგნით როგორც სწავლის, სწავლებისა და კვლევის, აგრეთვე, უსდ-ის მართვის ხარისხის უზრუნველყოფის, შენარჩუნებისა და განვითარების საქმეში.²

სოციოლოგიური კვლევის შედეგების პროდუქტიული გამოყენება შესაძლებელს ხდის უსდ-ის შიგნით ეფექტიანი ინფორმაციული მენეჯმენტის უზრუნველყოფას,³ რაც გულისხმობს სისტემურ კვლევაზე დაყრდნობით, სწავლის, სწავლებისა და კვლევის, ასევე ადმინისტრირების შემადგენელი სტრუქტურებისა და პროცესების როგორც ძლიერი, ისე სუსტი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენას, შეგროვილი ინფორმაციის მიზნობრივ კატეგორიზაციას და მის გამოყენებას ამ სტრუქტურებისა და პროცესების მართვისა და განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებისთვის. სოციოლოგიური კვლევის შედეგების გამოყენება ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია უსდ-ის ადგილობრივ და საერთაშორისო მასშტაბით პოპულარიზაციის ხელშეწყობასა და სწორი მარკეტინგული პოლიტიკის დაგეგმვაში.

სოციოლოგიური კვლევა, ზოგადად, შეიძლება განისაზღვროს როგორც ადამიანთა ჯგუფების, ინსტიტუტებისა და სოციალურ ფენომენტთა სისტემური შესწავლა, ისეთი მეთოდებისა და ტექნიკების გამოყენებით, როგორცაა გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუსირებული დისკუსია (ფოკუს-ჯგუფი), ეთნოგრაფიული კვლევა და აგრეთვე სხვადასხვა ტიპის ტექსტების ანალიზი.

¹ შდრ. Kurilovas, Eugenijus. "On data-driven decision-making for quality education." *Computers in Human Behavior* 107 (2020): 105774. ასევე: Williamson, Ben. "Digital education governance: data visualization, predictive analytics, and 'real-time' policy instruments." *Journal of education policy* 31, no. 2 (2016): 123-141.

² Kaufmann, B. (Ed.). (2010). *Wegweiser 2010: Qualitätssicherung an Hochschulen*; Projekt Qualitätsmanagement. HRK, p. 13

³ შდრ. European Association for Quality Assurance in Higher Education (ENQA), (2015) *Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG)*, 1.7.

სოციოლოგიური კვლევის ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ინფორმაციის პირველადი, ასევე მეორეული რესურსები და მონაცემები. პირველადი ეწოდება იმ მონაცემებს, რომლებიც უშუალოდ ემპირიული კვლევის მეთოდების გამოყენებითაა მოპოვებული - მას ნედლ მონაცემებსაც უწოდებენ. ასეთია: გამოკითხვის შედეგები, ინტერვიუების ტრანსკრიპტები (ტექსტუალურად გაშიფრული აუდიო/ვიდეო მასალა), ეთნოგრაფიული დაკვირვების ჩანაწერები და სხვ. ინფორმაციის მეორეულ რესურსს კი შეიძლება წარმოადგენდეს ისეთი წყაროები, როგორცაა საკვლევ მასალაზე უკვე არსებული (სამეცნიერო, თუ პოპულარული) ლიტერატურა. თუ პირველადი მონაცემების შესაგროვებლად **საველე მუშაობა**ა აუცილებელი, მეორადი ლიტერატურის შესაგროვებელი სამუშაო **სამაგიდე კვლევის** სახისაა და მოიცავს ბეჭდური თუ ელექტრონული რესურსების, ასევე, საარქივო მასალის მოძიებას და შეგროვებას.

მაგალითი

პირველადი მონაცემების შეგროვება, როგორც წესი, აუცილებელია, უსდ-ში მიმდინარე აქტუალური საკითხებისა და პრობლემების შესწავლის, ასევე უახლესი ტენდენციების გამოსავლენად, განსაკუთრებით, იმ საკითხებისა, რომლებიც ახალი და მანამდე შეუსწავლელია. მეორეული ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი ხშირად მარკეტინგულ (მაგ. საიმიჯო) კვლევაში გამოიყენება, მაგალითად, როდესაც ხდება მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში ბეჭდური ან ციფრული სახით გამოქვეყნებული ინფორმაციის შეგროვება კონკრეტული უსდ-ს შესახებ და იმის შესწავლა, თუ რა ტიპის ინფორმაცია, როგორ (მაგ. დადებით, თუ უარყოფით) კონტექსტში და რამდენად ხშირად შუქდება მედიასაშუალებებით, კონკრეტული უსდ-ის შესახებ, რათა დადგინდეს ამ ინფორმაციის გავლენა მისი იმიჯის ჩამოყალიბებაზე და ამის შესაბამისად განისაზღვროს უსდ-ის მარკეტინგული სტრატეგია.

უმაღლესი განათლების სივრცეში სოციოლოგიური კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებაში უდიდესი როლი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ფარგლებში საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფასა, შენარჩუნებასა და განვითარებაში, აგრეთვე ხარისხის კულტურის დანერგვასა და ხელშეწყობაში ჩართული ერთ-ერთი მთავარი აქტორია.

სოციოლოგიური კვლევა არა მხოლოდ საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის, არამედ თავად ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისა და მისი განვითარების სამსახურშიც დგას. ამდენად, სოციოლოგიური კვლევის სამიზნე ჯგუფებისა და კვლევის მიზნების სპექტრი

უაღრესად ფართოა უმაღლესი განათლების სფეროში. კვლევის სამიზნე ჯგუფების სპექტრი მოიცავს:

- სტუდენტებს;
- აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს;
- კურსდამთავრებულებს;
- უმაღლესი განათლების მიღებით დაინტერესებულ პირებს (მომავალი სტუდენტები);
- ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობით დაინტერესებული უნივერსიტეტებს, კვლევით ინსტიტუტებს;
- უმაღლესი განათლების აკადემიური ხელშეწყობით (უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების სფეროში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო ასოციაციები და სააგენტოები) და ფინანსური ხელშეწყობით (როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო, ინდუსტრიული სექტორები ე.წ. დაფინანსების “მესამე წყაროს” წარმომადგენლები: საჯარო, კერძო, თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფონდები) დაინტერესებულ პირებს;
- სხვა დაინტერესებულ საზოგადოებრივ ჯგუფებსა თუ კერძო პირებს, პოტენციურ დამსაქმებელთა ჯგუფებს, შრომით ასოციაციებს და სხვა.

უმაღლესი განათლების სფეროში სოციოლოგიური კვლევის მიზნების სპექტრი მოიცავს თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფის:

- მოლოდინებისა და კმაყოფილების დონის შესწავლას;
- ინფორმირებულობისა და კომპეტენციის ხარისხის შეფასებას;
- სწავლის, სწავლებისა და კვლევის განხორციელების ხარისხის შეფასებას (თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, გარე შეფასებას);
- ადმინისტრაციული სისტემისა და ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასებას;
- განვითარებაზე მიმართული ხედვების და რეკომენდაციების კვლევას; საერთაშორისო და ადგილობრივ აკადემიურ და სამეცნიერო სივრცესა და შრომით ბაზარზე არსებული ტენდენციების კვლევას;
- აგრეთვე, ღირებულებების კვლევასაც, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: აკადემიური თავისუფლება, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ეთიკა, ხარისხის კულტურა, სოციალური პასუხისმგებლობა, დემოკრატიული ღირებულებები და სხვ.

კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები

რომელი მეთოდით კვლევაა უმჯობესი უმაღლესი განათლების სფეროში?

რამდენადაც ფართოა სოციოლოგიური კვლევის მიზნებისა თუ სამიზნე ჯგუფების სპექტრი უმაღლესი განათლების სფეროში, ამდენადვე ფართო ხედვასა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს კვლევის **სწორად დაგეგმვა**, რაშიც იგულისხმება *საკვლევი პრობლემის განსაზღვრა, კვლევის კითხვების ფორმულირება, კვლევის ინფორმანტების/ინფორმაციის წყაროებისა და ადეკვატური კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა*.

სოციოლოგიურ კვლევაში მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ორი ტიპი გამოიყენება: **რაოდენობრივი და თვისებრივი**.

მონაცემთა შეგროვების, აღწერისა და ანალიზის ეს ორი მეთოდოლოგია ერთმანეთისგან განსხვავდება მათი მიზნის, მეთოდის, კვლევის ინსტრუმენტის და ასევე შედეგების თვალსაზრისით. მათ შორის არსებული განსხვავების შესახებ მათივე სახელწოდებებიც მეტყველებს: რაოდენობრივი კვლევა ამა თუ იმ საკითხზე **რაოდენობრივი, დათვლადი, გაანგარიშებადი, სტატისტიკურად სანდო** მონაცემების შეგროვებას, აღწერასა და ანალიზს ისახავს მიზნად, ხოლო **თვისებრივი კვლევა** ამა თუ იმ საკითხებისა და პრობლემების **თვისებრივად, სიღრმისეულად, მათ სპეციფიკაზე ფოკუსირებით** შესწავლასა და ანალიზზეა ორიენტირებული.

ამასთან, სავსებით შესაძლებელია, ამ ორი მიდგომით ერთი და იგივე საკითხი იქნეს გამოკვლეული, თუმცა, თითოეულ შემთხვევაში განსხვავებული მიზანი გვექნება.

*მაგალითისთვის ავიღოთ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასება. აღნიშნული საკითხის რაოდენობრივი მეთოდით გამოკვლევისას, კვლევის მიზანი შეიძლება იყოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის რაოდენობრივი მაჩასიათებლების მიხედვით შეფასება, როგორცაა მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების/სტატიების რაოდენობა, გამოქვეყნების სიხშირე, ციტირების ინდექსი, გამოქვეყნებული სტატიების წილი რეიტინგულ და არარეიტინგულ ჟურნალებში და სხვა. ხოლო თუ აღნიშნული საკითხის თვისებრივი მეთოდით შესწავლას გადავწყვეტთ, ჩვენი მიზანი შეიძლება მხოლოდ **თვისებრივი** იყოს: მაგალითად, რა პრობლემების/სირთულეები არსებობს აკადემიურ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებასთან მიმართებაში, როგორი სისტემით ფასდება/უნდა ფასდებოდეს სტატიების ხარისხი არარეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების/მონოგრაფიების შემთხვევაში, როგორ აისახება/უნდა აისახებოდეს*

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობა/მიღწევები მათ პედაგოგიურ საქმიანობაში და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ რაოდენობრივი კვლევის დაგეგმვისას ჩვენ მკაცრად შემოვსაზღვრავთ კვლევის ობიექტს იმიტომ, რომ გადაწყვეტილებას ვიღებთ, თუ რა დავთვალოთ/გავზომოთ? რა ცვლადები და კრიტერიუმები გამოვიყენოთ? როგორ მოვახდინოთ ცვლადების კატეგორიზება?

თვისებრივი მეთოდით კვლევის დაგეგმვისას კი ჩვენ არ შემოვსაზღვრავთ მკაცრად კვლევის ობიექტს, არამედ პირიქით, ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება ფართოდ შევხედოთ საკითხს და დავსვათ სიღრმისეული შეკითხვები თავისთავად ამა თუ იმ მოვლენის გაზომვისა და შეფასების შესაძლებლობაზე: როგორ გავზომოთ? როგორ შევაფასოთ? როგორ შევიმუშაოთ ცვლადები? ამდენად, თვისებრივი კვლევის პროცესში ხშირად სწორედ იმ გაზომვისა და შეფასების კრიტერიუმებისა და ცვლადების შემუშავება ხდება, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენ შემდგომში შეგვიძლია რაოდენობრივი მეთოდით ჩავატაროთ კვლევა.

მაგალითისთვის, ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, თვისებრივი კვლევა დაგვეხმარება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობის გარშემო არსებული პრობლემების იდენტიფიცირებაში, საკითხების ზუსტად ფორმულირებაში, მისი მახასიათებლების გამოკვეთასა და შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებაში. ეს კი შემდგომში შესაძლებლობას მოგვცემს რაოდენობრივი კვლევის უფრო სწორად განსაზღვრული ცვლადები შევიმუშაოთ, რომლითაც უფრო ადეკვატურად გავზომავთ და შევაფასებთ აკადემიური პერსონალის საქმიანობას და მათ უკვე რაოდენობრივ (სტატისტიკურ) მახასიათებლებში ავსახავთ.

ამიტომაც, რაოდენობრივი კვლევა ხშირად უფრო უკეთეს შედეგს გვაძლევს, როდესაც მას თვისებრივი მეთოდის გამოყენება უძღვის წინ, რადგანაც ეს უკანასკნელი შესაძლებლობას გვაძლევს, უფრო სიღრმისეულად და ფართო პერსპექტივაში დავინახოთ საკვლევი ობიექტი და შემდგომში უფრო ადეკვატურად მოვახდინოთ მისი გაზომვა რაოდენობრივი მახასიათებლებით. თვისებრივი კვლევა გვეხმარება უფრო სწორი გადაწყვეტილებები მივიღოთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა დავთვალოთ და რა ცვლადები გამოვიყენოთ და ამრიგად, უფრო ხარისხიანად ჩავატაროთ რაოდენობრივი კვლევა.

გარდა ამისა, აუცილებელია, კვლევის მეთოდი თუ ინსტრუმენტი მაქსიმალურად იყოს მორგებული კონკრეტულ კულტურულ კონტექსტს, რომელშიც კვლევა უნდა ჩატარდეს. ასევე აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ დროთა განმავლობაში იცვლება ხედვები, მიდგომები, წარმოდგენები და ღირებულებებიც კი - ამდენად, შეუძლებელია, არსებობდეს უნივერსალური კვლევითი ინსტრუმენტი, რომლითაც ყველა დროსა და

ყველა კულტურულ კონტექსტში ერთი და იმავე წარმატებით ჩავატარებდით კვლევას. სწორედ, ამის გამო, აუცილებელია, კვლევის რომელიმე ეტაპზე მაინც, აუცილებლად ჩავრთოთ თვისებრივი მიდგომა, რათა არ გამოგვეპაროს ესა თუ ის ცვლილებები, რომელთა გაუთვალისწინებლობამ შეიძლება ჩვენი კვლევა არასწორი გზით წარმართოს და შესაბამისად, არაადეკვატურ შედეგამდე მიიყვანოს.

მაგალითი

თანამედროვე პედაგოგიკაში ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე მიდგომად გვევლინება **კონსტრუქტივისტული მიდგომა**.⁴ ეს უკანასკნელი ჰუმანიზმის პრინციპებს ეფუძნება და სწავლების პროცესს ინტერაქტიულ პროცესად განიხილავს, რომელშიც სტუდენტი უკვე არა პასიურ, არამედ აქტიურ სუბიექტად გვევლინება. კონსტრუქტივისტული მიდგომის მიხედვით, თანამედროვე ეპოქაში სწავლება ბევრად უკეთეს შედეგებს გვაძლევს, როდესაც სწავლების პროცესი პედაგოგსა და სტუდენტს შორის კომუნიკაციურად წარმართება. ეს კი იმას გულისხმობს, რომ სწავლების პროცესში სტუდენტი არა მხოლოდ ინფორმაციის მიმღების პასიურ როლშია, არამედ თვითონაც მონაწილეობს ახალი ცოდნის შექმნაში. შესატყვისად, იცვლება სწავლების მიზანიც. იგი ორიენტირებული ხდება არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ ისეთი უნარების გამომუშავებაზე, როგორცაა: მსჯელობის, დასკვნის გამოტანის, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ცოდნის გაზიარების უნარები. კომუნიკაციური სწავლების პროცესის წარმატებულად წარმართვისთვის უმნიშვნელოვანესია სასწავლო პროგრამის/გეგმის **სტუდენტის ინტერესებსა და მოთხოვნილებებზე მორგება და წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე** აგება. ეს სტუდენტს უადვილებს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით, ახალი ინფორმაციის შეგროვებას, დასკვნის გამოტანას, დამოუკიდებლად აზროვნებას და სამომავლოდ ხელს უწყობს მას ცოდნის ახალი ველის შექმნაში.

აღნიშნული მიდგომის გათვალისწინება არა მხოლოდ სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდებში უნდა მოხდეს, არამედ სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტის (მაგ. კითხვარების) შემუშავებისას და ჩატარებული კვლევის

⁴ Nola, Robert; Irzik, Gürol (2006). Philosophy, Science, Education and Culture. Springer Science & Business Media. p. 175.

Steffe, L. P., & Gale, J. E. (Eds.). (1995). Constructivism in education. Psychology Press.

ანალიზშიც, რომლითაც იზომება, მაგალითად, სტუდენტის სწავლით/სწავლებით კმაყოფილების დონე.

მაგალითად, კმაყოფილების შეფასების კითხვარში არა მხოლოდ იმის შეფასება უნდა მოხდეს, თუ რამდენად ადეკვატურია მასალის ოდენობა სტუდენტის დატვირთვისთან მიმართებაში, რამდენად გასაგებად ხსნის მასალას ესა თუ ის პედაგოგი და რამდენად ადეკვატურია შეფასების სისტემა, არამედ იმის შეფასებაც, თუ რამდენად კარგად იცნობს სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმს/კურსის სილაბუსს, ან რამდენად დაინტერესებულა მისი შინაარსით, თუ როგორ წარმართება სწავლების პროცესი, რამდენად საინტერესოდაა მოწოდებული სასწავლო მასალა, რამდენად ეძლევა საშუალება სტუდენტს აზრის გამოსახატად, რაში ეხმარება მას შეძენილი ცოდნა, რამდენად მორგებულია სასწავლო გეგმა მის ინტერესებს, ან რას შეცვლიდა/გააუმჯობესებდა, თავად რომ ყოფილიყო პედაგოგი და სხვ.

როდესაც სწავლით/სწავლებით კმაყოფილების კითხვარში მხოლოდ მკაცრად გაწერილი ტრადიციული ცვლადები (დატვირთვა, შეფასების სისტემა, პედაგოგის კომპეტენცია და ა.შ.) და კმაყოფილების შეფასების 10 ქულიანი სისტემა გვაქვს, ეს ნაკლებად მოგვცემს იმის შესაძლებლობას, შევაფასოთ, თუ რამდენად ეხმარება სტუდენტს სასწავლო პროგრამა და სწავლებისა და შეფასების მეთოდები მაგ. კრიტიკული აზროვნების უნარის, ან ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებაში. ამასთან, ჩატარებული კვლევის შედეგებში ხშირად ყველა კრიტერიუმის მაქსიმალურად შეფასების სიხშირე (მაგ. 10-დან 10 ქულა) ისევ და ისევ უარყოფითი მაჩვენებელი უფროა, ვიდრე დადებითი, რამდენადაც ამგვარი შედეგი (მაგ: გამოკითხულთა 90 პროცენტი 10 ქულით აფასებს სასწავლო მასალის ოდენობის შესაბამისობას სილაბუსით გაწერილ დატვირთვისთან) ერთი მხრივ, არ გვაძლევს ცხად წარმოდგენას თავად სტუდენტის მოლოდინებზე და მეორე მხრივ, ნაკლებად მეტყველებს სტუდენტის მხრიდან ამა თუ იმ საკითხის მიმართ კრიტიკულ შეფასების მოტივაციაზე/ან უნარზე, რაც თავისთავად არ წარმოადგენს კარგ მაჩვენებელს კონკრეტული უნივერსიტეტის მიდგომაზე პედაგოგიური საქმიანობის თანამედროვე სტანდარტებით წარმართვის თვალსაზრისით.

ამგვარად, თუ რაოდენობრივი მეთოდი მიზნად კონკრეტული წინასწარ მკაცრად განსაზღვრული საკითხების გარშემო სტატისტიკურად სანდო, რეპრეზენტატული (წარმომადგენლობითი)⁵, გაზომვადი და გადამოწმებადი მონაცემების შეგროვებას და ანალიზს ისახავს მიზნად, თვისებრივი მეთოდი პრობლემის გარშემო თვისებრივი

⁵ რეპრეზენტატულობა, ანუ წარმომადგენლობითობა რაოდენობრივი კვლევისთვის საკვლევი ჯგუფის შერჩევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი. რეპრეზენტატულად იწოდება ისეთი შერჩევა, რომელიც პროპორციულად ასახავს გენერალური ერთობლიობას, მისი მახასიათებლების მიხედვით.

ინფორმაციის, მახასიათებლების, სპეციფიკის, ძირითადი ტენდენციების შესახებ მონაცემების შეგროვებას, აღწერასა და ანალიზს ისახავს მიზნად.

თუმცა, სიღრმისეული ანალიზის წარმოებისთვის აუცილებელია ამ ორი მეთოდის კომბინირებულად გამოყენება, ვინაიდან, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც გამოჩნდა, ეს ორი მეთოდი ერთმანეთისგან გაზიარებულ ინფორმაციას ეფუძნება: რაოდენობრივი მეთოდი, თავის მხრივ, თვისებრივი მეთოდით შეგროვილ ინფორმაციაზე დაყრდნობით არჩევს, რა მიმართულებით მოიპოვოს სტატისტიკურად სანდო მონაცემები და პირიქით, თვისებრივი კვლევა ასევე იყენებს სტატისტიკურ მასალას ამა თუ იმ პრობლემაზე ფოკუსირებული კვლევის წარმოებისთვის.

ხშირია შემთხვევა, როდესაც თვისებრივი კვლევის საფუძველზე, უსდ-ს ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის დონეზე გამოვლენილმა საყურადღებო პრობლემამ (მაგ. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებამ, უსდ-ს რომელიმე მიმართულებით კვლევითი/სასწავლო რესურსების (ბიბლიოთეკა, სამეცნიერო ბაზები, ლაბორატორია თუ სხვ.) სიმწირის თაობაზე) შეიძლება დაბადოს ამ პრობლემის რეალურობის, მისი შესაძლო ეფექტის და მასშტაბების (მაგ. მისი გავლენა სწავლის/სწავლების პროცესსა და შედეგებზე) გამოვლენის საჭიროება, რათა ამ ფაქტორმა დღის წესრიგში სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის პრობლემა არ დააყენოს. ამ მიმართულებით რეპრეზენტატული და სანდო სტატისტიკური ინფორმაციის მოსაპოვებლად კი აუცილებელია რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენება, რათა კვლევის შედეგები ამ ფაქტორის შესაძლო გავლენასთან დაკავშირებით რეპრეზენტატული (განზოგადებადი) და სანდო იყოს შესაბამისი მიმართულების სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და ზემოთ აღნიშნული რესურსებით მოსარგებლე დაინტერესებული ჯგუფების მიმართ.

თავის მხრივ, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდით ჩატარებული გამოკითხვის შედეგებში გამოვლენილმა პრობლემურმა საკითხმა (მაგ. გამოკითხულ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა არ იყენებს უსდ-ს მიერ შემოთავაზებულ გარკვეულ მომსახურებას) შეიძლება მიგვიყვანოს ამ პრობლემის საფუძველებში ჩაღრმავებისა და მისი თვისებრივად შესწავლის საჭიროებასთან, რათა შემდგომში მოხდეს შესაბამისი მიზეზების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა (მაგ. მომსახურების პირობების გაუმჯობესება, დახვეწა და სტუდენტთა ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგება).

ასევე ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი პრობლემა პრობლემათა მთელ ჯაჭვს განაპირობებს, რაც ხშირად, ართულებს საწყისი პრობლემის იდენტიფიცირების

პროცესს. ამ დროს კი ყველაზე ეფექტური სწორედ რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომბინირებულად გამოყენებაა. ზემოთ მოყვანილ მაგალითში, სტუდენტური სერვისით მომსახურების დაბალ მაჩვენებელს შეიძლება უამრავი განსხვავებული ახსნა მოეძებნოს, თუმცა არცერთი არ იქნება სანდო, ვიდრე თვისებრივი კვლევის მეთოდს არ ჩავრთავთ კვლევაში.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდი: მისი შესაძლებლობები და ძირითადი უპირატესობები

რაოდენობრივი კვლევის მეთოდი - ესაა მონაცემთა შეგროვების ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოიყენება როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ფსიქოლოგიასა თუ სოციოლოგიაში, ეკონომიკურ ანალიზსა თუ მარკეტინგულ კვლევებში.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდი მეცნიერების **პოზიტივისტურ** ხედვას ეფუძნება და მონაცემთა შეგროვების, კატეგორიზებისა და ანალიზის სტატისტიკურ და მათემატიკურ მოდელებზეა აგებული. შეიძლება ითქვას, რომ რაოდენობრივი კვლევის მთავარ უპირატესობას და მისი ხარისხიანობის კრიტერიუმებს წარმოადგენს **კვლევის შემადგენელი პროცესების** (შერჩევის, მონაცემთა შეგროვების, მონაცემთა კატეგორიზების, მონაცემთა შეწონის, სტატისტიკური მანიპულაციების შესრულების) **და კომპონენტების** (კვლევის ინსტრუმენტის, მონაცემთა დამუშავების სქემის (SPSS)) მათემატიკური და სტატისტიკური პრინციპების თვალსაზრისით გამართულობა, კვლევის ყველა ეტაპზე.

ამგვარად, რაოდენობრივი კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს, ესა თუ ის საკითხი თუ მოვლენა ისეთ მახასიათებლებში აღვწეროთ, რომლებიც **თვლადი, გაზომვადი და შედარებადია** და ამრიგად, ეს მონაცემები ციფრების, პროცენტების, სტატისტიკის სახით იქნეს წარმოდგენილი.

მაგალითად, რაოდენობრივი კვლევის მეშვეობით, შესაძლებელია ისეთი საინტერესო და იმიჯის თვალსაზრისით საგულისხმო ინფორმაციის დადგენა, სტუდენტთა რამდენი პროცენტი ურჩევდა თავის მეგობარს, ჩაებარებინა ამავე უსდ-ში; აკადემიური პერსონალის წარმომადგენელთა რამდენი პროცენტი აფასებს სამუშაო გარემოს როგორც კომფორტულს და კოლეგიალურს; დამსაქმებელთა რამდენი პროცენტი ანიჭებს უპირატესობას კონკრეტული უსდ-ის კონკრეტული მიმართულების კურსდამთავრებულთა აყვანას სამსახურში და სხვ.

რაოდენობრივი კვლევის ძლიერი მხარეები:

- კვლევის პროცესის წინასწარ დაგეგმვის შესაძლებლობა, მისი ორგანიზებულობის მაღალი ხარისხი
- წინასწარ ზუსტად განსაზღვრული კვლევის საკითხები, კვლევის დიზაინი და კვლევის ინსტრუმენტები
- კვლევის შედეგების გაზომვადი, შედარებადი ხასიათი
- კვლევის შედეგების სტატისტიკური სანდოობა
- კვლევის შედეგების რეპრეზენტატულობა (წარმომადგენლობითობა), ანუ მათი განზოგადებადების შესაძლებლობა სრულ საკვლევ პოპულაციაზე/მოსახლეობის ფართო ჯგუფებზე
- კვლევის ხარისხისა და სანდოობის გადამოწმების შესაძლებლობა

თუმცა, ის, რაც რაოდენობრივი კვლევის სუსტ მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ, ესაა მისი შინაარსობრივი სიხისტე. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი ნაკლებად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ კვლევის შედეგებში რესპონდენტის ხედვის, დამოკიდებულებისა, თუ შეფასების ინდივიდუალური შინაარსი იქნეს შენარჩუნებული. რესპონდენტი ყოველთვის შეზღუდულია როგორც მკვლევრის მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვებით, ისე ამ კითხვებზე წინასწარ მოცემული სავარაუდო პასუხებით. ფაქტობრივად, რაოდენობრივი კვლევის შედეგი მხოლოდ სავარაუდო პასუხებს შორის პროცენტულ გადანაწილებაში, მათსადაც, მშრალი სტატისტიკური სურათის სახით ვლინდება.

ამასთან, რამდენადაც მათემატიკურად ზუსტ ინფორმაციას იძლევა რაოდენობრივი კვლევა, ამდენადვე ხისტია იგი შინაარსობრივი ცდომილებების მიმართ. კერძოდ, რაკი ზუსტი შედეგების მიღება ზუსტ კვლევით ინსტრუმენტს საჭიროებს, რომლითაც უნდა გაიზომოს/შეფასდეს ესა თუ ის საკვლევ პრობლემა, ამდენად, კვლევის პროცესში, ან კვლევის ინსტრუმენტში გაპარული მცირე შინაარსობრივი უზუსტობაც კი (მაგ. კითხვარში კითხვის ორაზროვნება, სავარაუდო პასუხის ბუნდოვანება, გადაფარვა ცვლადებს შორის და სხვ.) მნიშვნელოვან ზიანს აყენებს კვლევის შედეგებს და ხანდახან კვლევის გარკვეულ შედეგებს არავალიდურს და სრულიად გამოუსადეგარსაც კი ხდის. მაგალითად, კითხვარში გაპარული ორაზროვნება შეუძლებელს ხდის იმის დადგენას, თუ ვინ როგორ გაიგო შეკითხვა და რა იგულისხმა გაცემულ პასუხში. ამიტომ, რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს და საპასუხისმგებლო ეტაპს რაც შეიძლება კონკრეტული, გასაგები, ცხადი და ორაზროვნებისა და ბუნდოვანების მაქსიმალურად გამომრიცხავი კითხვებით შედგენილი და ზუსტი ინსტრუქციების (ე.წ. “გადასვლების”)

მქონე კვლევის ინსტრუმენტის შექმნა წარმოადგენს. ამასთან, თვისებრივი კვლევისგან განსხვავებით, რაოდენობრივი კვლევის ჩატარების პროცესში ამა თუ იმ კითხვის ორაზროვნების დაზუსტება, ძალიან პრობლემური, ან ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელიც კი არის.

როგორც წესი, რაოდენობრივი კვლევის კითხვარებში, დროისა და რესურსის დაზოგვის მიზნით, ერთ შეკითხვაში ე.წ. „ქუდ კითხვაში“ რამდენიმე ცვლადის შეფასება ხდება. თუმცა, იმისათვის, რომ ცვლადების შეფასება ვალიდური იყოს, მნიშვნელოვანია თითოეული ცვლადი გამოიყენებული იყოს ერთმანეთისგან როგორც შეკითხვაში, ისე სავარაუდო პასუხებში.

მაგალითად, გვსურს დავადგინოთ, პოტენციური დამსაქმებლის შეფასება/მოსაზრება კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით და თუ რამდენად საინტერესოა მისთვის - როგორც დამსაქმებლისთვის საგანმანათლებლო პროგრამაში - გარკვეული ცოდნისა და უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსების შეტანა. განვიხილოთ ამ ინფორმაციის გამოსარკვევად დასმული კითხვის ნიმუში:

“ისურვებდით, თუ არა რომ კურიკულუმში შეტანილ იქნეს კომუნიკაციის უნარების განმავითარებელი, უცხო ენის კომპეტენციის განმავითარებელი ან [x კონკრეტული] პროფესიული კომპეტენციის უნარების განმავითარებელი კურსები?”

1. დიახ, ვისურვებდი
2. ნაწილობრივ ვისურვებდი
3. არ მიმაჩნია საჭიროდ

აღნიშნულ კითხვაზე გაცემული პასუხი, ფაქტობრივად არავითარი ინფორმაციის მომტანი არ იქნება. შეცდომა და უზუსტობა გვაქვს როგორც შეკითხვაში, ისე პასუხებში: კერძოდ, როდესაც კითხვას ვსვამს რამდენიმე ცვლადის შესახებ, აუცილებელია, რომ რესპონდენტს საშუალება მივცეთ, თითოეულ ცვლადზე სხვა ცვლადებისგან დამოუკიდებლად გასცეს პასუხი. არსებულ შემთხვევაში კი, მაგალითად, თუკი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ კურიკულუმში კომუნიკაციის განმავითარებელი უნარის კურსის ჩადება არ არის მისთვის პრიორიტეტული, ხოლო კონკრეტული პროფესიული უნარის განმავითარებელი კურსის შეტანას ისურვებდა, მან შეიძლება პასუხად აირჩიოს მეორე ვარიანტი: “ნაწილობრივ ვეთანხმები.” თუმცა, ჩვენ ვერ დავადგენთ ამ კომპეტენციებიდან ყველას განვითარებას ისურვებდა ნაწილობრივ თუ ზოგიერთ მათგანს ისურვებდა და ზოგიერთს - არა და ამ უკანასკნელ შემთხვევაში, არც ის გამოჩნდება რომელს ისურვებდა და რომელს - არა. ამას კი სრულ გაუგებრობამდე

მივყავართ. ეს პრობლემა ადვილად გადაიჭრება ცვლადებისა და შეფასების პარამეტრების ცხრილის მეშვეობით, სადაც თითოეულ ცვლადის შეფასებისთვის დამოუკიდებელი პარამეტრის გრაფა იარსებებს. გარდა ამ პრობლემისა, აღნიშნულ მაგალითში გვაქვს ე.წ. “გადაფარვა”, რაც გულისხმობს შესაფასებელ ცვლადებს შორის თანაკვეთის არსებობას: კერძოდ, კომუნიკაციის უნარები მოიცავს უცხო ენებსაც, ამდენად, იმ შემთხვევაშიც კი თუ ცხრილის მეშვეობით, თითოეულ კითხვაზე ცალკე პასუხის გაცემის საშუალებას მივცემთ რესპონდენტს, შედეგის ინტერპრეტაციის ბუნდოვანება მაინც იარსებებს. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ცვლადი, ისევე როგორც მისი შეფასების პარამეტრები იყოს რაც შეიძლება გასაგები, კონკრეტული და არაორაზროვანი.

ქვემოთ, ნიმუშის სახით, გთავაზობთ ზემოაღნიშნული მაგალითისთვის კითხვისა და პასუხების მიზანშეწონილ ფორმულირებას და პასუხების განლაგების სტრუქტურას, რომელშიც წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ცხრილი:

გთხოვთ, ქვემოთ ჩამოთვლილ უნარებთან და კომპეტენციებთან მიმართებით, მიუთითოთ, თქვენი როგორც დამსაქმებლის პოზიციიდან, რომელი მათგანის განვითარება იქნებოდა პრიორიტეტული კურიკულუმის ფარგლებში?

კომპეტენციები/უნარები	ძალიან პრიორიტეტული	პრიორიტეტული	მეტ-ნაკლებად პრიორიტეტული	ნაკლებად პრიორიტეტული	არაპრიორიტეტული
აკადემიური უნარები (წერის, პრეზენტაციის, დისკუსიის)					
დარგობრივი უცხო ენის კომპეტენცია					
პრაქტიკული კვლევის უნარები					
კოოპერაციისა და გუნდური მუშაობის უნარი					
პროექტის მართვის კომპეტენცია					
საბაზისო (საოფისე) კომპიუტერული უნარები					
კომპეტენცია დარგობრივ კომპიუტერულ პროგრამებში					
სხვა: (გთხოვთ, მიუთითოთ)					

რაოდენობრივი კვლევის ძირითადი ეტაპები

რაოდენობრივი კვლევა ხუთ ძირითად ეტაპად შეიძლება დავყოთ, ესენია:

1. კვლევის მიზნისა და კითხვის მკაფიოდ განსაზღვრა

მაგალითი: ჩვენი კვლევის საგანს შეიძლება კონკრეტულ უსდ-ის სტუდენტებში უნივერსიტეტის მიმართ ლოიალობის საკითხის შესწავლა წარმოადგენდეს. კვლევითი კითხვა კი შეიძლება იყოს: რა ფაქტორები ახდენს გავლენას სტუდენტებში უნივერსიტეტის მიმართ ლოიალობის ჩამოყალიბებაზე.

2. კვლევის ინსტრუმენტის შერჩევა, კითხვარის შექმნა და პილოტირება

აღნიშნული მაგალითის შემთხვევაში, კვლევის ინსტრუმენტის სახით შეიძლება შევარჩიოთ პირისპირ ინტერვიუ, ხოლო ინტერვიუსთვის ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი შევქმნათ, რომელსაც სტუდენტთა მცირე ჯგუფის შიგნით გამოვცდით.

3. შერჩევა

ჩვენს შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ ალბათური შერჩევა, რომელიც ყველა სტუდენტისთვის შერჩეულ ერთობლიობაში მოხვედრის თანაბარ შანსს უზრუნველყოფს.

4. მონაცემების შეგროვება

მონაცემების შეგროვება აღნიშნული მაგალითის შემთხვევაში ე.წ. საველე სამუშაოს სახის იქნება, რაც გულისხმობს ინტერვიუერის მიერ პირისპირ ინტერვიუსთვის შერჩევის ერთობლიობასთან ინტერვიუების ჩატარებას.

5. მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი, როგორც წესი SPSS სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით ხდება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა.

საკვლევის პრობლემისა და კვლევის ინსტრუმენტის განსაზღვრა

რაოდენობრივი კვლევის პროდუქტიულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული კვლევის მიზანი, საკვლევი პრობლემა და შესაბამისად, რამდენად ზუსტად არის ფორმულირებული საკვლევი პრობლემის შესწავლის, შეფასებისა და გაზომვის კრიტერიუმები კვლევის ინსტრუმენტში. რაოდენობრივი კვლევის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს მასობრივი გამოკითხვა.

მასობრივი გამოკითხვა გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას საკვლევი საკითხის გარშემო, კვლევისთვის შერჩეულ ჯგუფთან კითხვა-პასუხის გზით. მასობრივი გამოკითხვის ორი ძირითადი ტიპი შეიძლება გამოვყოთ: ანკეტირება და ინტერვიუ.

პირველ შემთხვევაში რესპონდენტი თავად დამოუკიდებლად ავსებს კითხვარს, ინტერვიუერის დახმარების გარეშე (ასეთი გამოკითხვის მაგალითს წარმოადგენს ონლაინ-გამოკითხვები, რომლებიც გამოკითხვის ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით ტარდება), ხოლო ინტერვიუს შემთხვევაში ინტერვიუერი პირისპირ (ან ტელეფონის საშუალებით) ატარებს გამოკითხვას შერჩევითი ერთობლიობის წარმომადგენლებთან.

რაოდენობრივი კვლევის კითხვარის ტიპები

გამოკითხვის ჩასატარებლად საჭიროა კითხვარის შემუშავება, რომელიც შედგება გასაგებად და ზუსტად ფორმულირებული კითხვებისა და წინასწარ განსაზღვრული პასუხის ვერსიებისგან.

მნიშვნელოვანია, გამოკითხვის ტიპის (ანკეტირების ან ინტერვიუს) არჩევისას გავითვალისწინოთ ფაქტორების რიგი, რომლებიც გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად წარმატებულად და პროდუქტიულად წარიმართება გამოკითხვის პროცესი. მაგალითად, ანკეტირების შემთხვევაში, ვინაიდან რესპონდენტს დამოუკიდებლად, ინტერვიუერთან კომუნიკაციის გარეშე უწევს კითხვარის შევსება, მისი მოტივაცია ბევრად დაბალი იქნება, ვიდრე ინტერვიუს შემთხვევაში, უფრო დიდია კითხვარის შევსებაზე უარის თქმის ალბათობა, შევსების შემთხვევაში კი - ისეთი ტიპის ქცევის რისკი, როგორცაა კითხვარის “შუა გზაზე მიტოვება”, მონაცემების არასრულად შევსება, კითხვის “ვერგაგების” შემთხვევაში, მასზე შეუსაბამო პასუხის გაცემა და სხვ. ამდენად, ანკეტირების კითხვარის შედგენისას მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ეს რისკები. ანკეტა არ უნდა იყოს კითხვებით გადატვირთული, მასში წარმოდგენილი კითხვები ბევრად უფრო მარტივი, მოკლე და ადვილად აღსაქმელი უნდა იყოს, ვიდრე ინტერვიუს შემთხვევაშია დასაშვები. რადგანაც ინტერვიუს ჩატარებისას პროცესს თავად ინტერვიუერიც აკონტროლებს, ანკეტირების შემთხვევაში კი ასეთი კონტროლის მექანიზმი არ არსებობს. ასევე ნაკლებად სასურველია ანკეტირების კითხვარში დიდი ოდენობით “ღია კითხვის” არსებობა, რამდენადაც მასზე პასუხის გაცემა რესპონდენტისგან უფრო მეტ დროს, რესურსს და მოტივაციას მოითხოვს, რისი არქონის შემთხვევაშიც რესპონდენტმა შეიძლება შეწყვიტოს კითხვარის შევსება.

რაოდენობრივი კვლევის კითხვარი შეიძლება იყოს როგორც **სტრუქტურირებული**, ისე **ნახევრად-სტრუქტურირებული** სახის. **სტრუქტურირებულ** კითხვარში ყველა კითხვის სავარაუდო პასუხი (ე.წ. “დახურვა”) წინასწარ არის მოცემული კითხვარში და

რესპონდენტმა მხოლოდ მათ შორის უნდა აირჩიოს. **ნახევრად-სტრუქტურირებული** კითხვარი კი მოიცავს ისეთ კითხვებსაც, რომლებზეც პასუხის შესაძლებლობები არ არის მკაცრად განსაზღვრული და ე.წ. “ღია პასუხის” სივრცეც არსებობს. “ღია პასუხის” სივრცის ჩართვა კითხვარში მაშინაა მიზანშეწონილი, როდესაც არსებობს შანსი, რომ რესპონდენტს გარდა ჩამოთვლილი პასუხის ვერსიებისა, განსხვავებული ვერსიაც ჰქონდეს, რომლიც ჩვენი კვლევისთვის **საინტერესო** იქნება.

შერჩევა

შერჩევა ესაა პროცესი საკვლევი პოპულაციიდან უშუალოდ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების ამორჩევისა.

მთლიან პოპულაციას, რომელიც მოცემული კვლევის ყველა შესაძლო (მათ შორის, ჰიპოთეტურ) მონაწილეს მოიცავს კვლევის **გენერალური ერთობლიობა ეწოდება, ხოლო ამ ერთობლიობის ნაწილს, რომელსაც რეალური შანსი და წვდომა აქვს კვლევაში მონაწილეობაზე და რომელზეც** ვაპირებთ ჩვენი კვლევის შედეგების განზოგადებას, **კვლევის სამიზნე ჯგუფი** ეწოდება. სამიზნე ჯგუფიდან ჩვენ მიერ შერჩეულ ჯგუფს კი, რომელთანაც უშუალოდ ვატარებთ კვლევას/გამოკითხვას **კვლევის შერჩევითი ერთობლიობა** ეწოდება.

რიგ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული კვლევის გენერალური ერთობლიობა იმგვარი მახასიათებლით განისაზღვრება, რომლის ზუსტი სტატისტიკაც ხელმისაწვდომია და ამდენად, გამორიცხავს ჰიპოთეტურ მონაწილეებს, შესაძლოა, გენერალური ერთობლიობა და კვლევის სამიზნე ჯგუფი ემთხვეოდეს კიდევ ერთმანეთს. მაგალითისთვის, თუ კვლევის სამიზნე ჯგუფი კონკრეტული უსდ-ის პირველი კურსის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები არიან, ამ შემთხვევაში სამიზნე ერთობლიობა ემთხვევა გენერალურ ერთობლიობას. მაგრამ, თუკი ჩვენი სამიზნე ჯგუფი საქართველოში კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლით დაინტერესებული პირები არიან, ჩვენ ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ გენერალურ ერთობლიობას, რამდენადაც ის ასევე მოიცავს პროგრამით დაინტერესებულ იმ ჰიპოთეტურ პირებსაც, ვისთან წვდომაც ჩვენ, კონკრეტული კვლევის ფარგლებში, შეიძლება არ გვქონდეს.

რამდენადაც რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას მისი შედეგების განზოგადებადი ხასიათი (**რეპრეზენტატულობა**) წარმოადგენს, რაოდენობრივი კვლევისას შერჩევის პროცედურის მთავარი მიზანი ისაა, რომ **შერჩეული ჯგუფი**

ზუსტად და პროპორციულად ასახავდეს მთლიანი პოპულაციის სურათს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ **შერჩევა რეპრეზენტატულია (წარმომადგენლობითი) სამიზნე ერთობლიობის მიმართ. რიგ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ კვლევის შედეგები ასევე რეპრეზენტატული, და მაშასადამე განზოგადებადი შეიძლება იყოს კვლევის გენერალურ ერთობლიობაზე.**

შერჩევის რეპრეზენტატულობის უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია შერჩევის პროცესში გამოყენებული იქნეს ალბათობის თეორია და შესაბამისი მათემატიკური სტატისტიკის ფორმულა. ამგვარ შერჩევას ალბათური შერჩევა ეწოდება. **ალბათური შერჩევის უპირატესობა ისაა, რომ გენერალური ერთობლიობის თითოეულ წარმომადგენელს შერჩევით ერთობლიობაში (შერჩევით ჯგუფში) მოხვედრის თანაბარი შანსი აქვს.** არსებობს ასევე არაალბათური შერჩევა, რომელიც გენერალური ერთობლიობის თითოეული წევრისთვის არ უზრუნველყოფს შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის თანაბარ შანსს. არაალბათური შერჩევის შემთხვევაში კვლევის შედეგების რეპრეზენტატულობის და სანდოობის ხარისხის განსაზღვრა ისეთი სიზუსტით ვერ ხერხდება, როგორც ალბათური შერჩევისას.

მაგალითად, როდესაც მიზნად ვისახავთ უსდ-ში სტუდენტების კმაყოფილების გამოკვლევას, საჭიროა გამოკითხვის შერჩევის ერთობლიობის, ანუ გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტების იმგვარად შერჩევა, რომ ჩატარებული კვლევის შედეგები განზოგადებადი იყოს მთელი უსდ-ს სტუდენტებზე. **ალბათური შერჩევის⁶ მეშვეობით, ჩვენ საშუალება გვქმნება გამოვიკითხოთ სტუდენტთა არა სრული რაოდენობა (რომელსაც “კვლევის გენერალური ერთობლიობა” ეწოდება), არამედ მაგ. მისი 10-15%⁷, კვლევის შედეგები კი განზოგადებადი იყოს სრულ გენერალურ ერთობლიობაზე.**

ალბათური შერჩევა გარანტია იმისა, რომ ჩვენ დროისა და რესურსების დაზოგვით შევძლებთ კვლევის შედეგების რეპრეზენტატულობისა და სტატისტიკური სანდოობის ხარისხის შენარჩუნებას. თუმცა, ცხადია, ნებისმიერ შერჩევას თავისი ცდომილების ხარისხი აქვს, რამდენადაც გენერალური ერთობლიობიდან, უამრავი შესაძლო ვერსიიდან მხოლოდ ერთი კონკრეტული შერჩევა ხორციელდება და

⁶ დაწვრილებით, ალბათური შერჩევის მეთოდისა და ტიპების შესახებ იხ. წულაძე, ლია. (2008). რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, გვ. 45-50.

⁷ შერჩევის ზომა დამოკიდებულია გენერალური/სამიზნე ერთობლიობის მოცულობაზე.

კვლევაც/გამოკითხვაც სწორედ ამ ერთ კონკრეტულ შერჩეულ ერთობლიობასთან ტარდება.⁸

კითხვარის შემუშავება და კითხვის დასმის ტექნიკები

რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ეტაპს კითხვარის შედგენა წარმოადგენს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაოდენობრივი კვლევის წარმატებულობის ხარისხი დიდწილად არის დამოკიდებული საკვლევ ინსტრუმენტში (კითხვარში) საკვლევ ცვლადების, შესაბამისი შეფასების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების ზუსტ ფორმულირებაზე.

რაოდენობრივი კვლევის კითხვარის ხარისხის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი კითხვებს შორის ლოგიკური ბმა, ე. წ. “გადასვლება”.

როგორც წესი, კითხვარი **თემატურ ბლოკებად** არის დაყოფილი, რაც რესპონდენტისთვის აადვილებს შეკითხვების აღქმის და გამოკითხვის კომფორტულად წარმართვის პროცესს. როდესაც კითხვები ერთმანეთთან დაუკავშირებელია, ხშირად ეს რესპონდენტისგან ყურადღების დამაბვას მოითხოვს და ადვილად ღლის მას. ამდენად, სასურველია, რომ რესპონდენტი გრძნობდეს ლოგიკურ ბმას ერთი კითხვიდან მეორე კითხვაზე გადასვლისას. ეს გამოკითხვის ჩატარების პროცესსაც უფრო აჩქარებს.

სასურველია, რომ კითხვარი შესავალი, მარტივი და ნეიტრალური კითხვებით დავიწყოთ, როგორცაა დემოგრაფიული ბლოკი (ასაკი, სქესი, საცხოვრებელი ადგილი და სხვ.) და ზოგადი მონაცემები (მაგ. სტუდენტის შემთხვევაში სწავლის საფეხური, მიმართულება და ა.შ.), რაც რესპონდენტს კითხვარის შევსების დასაწყისისთვის დამახასიათებელ დამაბულობას მოუხსნის და უფრო მეტ სითამამეს მისცემს კითხვარის შევსებისთვის. რესპონდენტზე ასევე დადებითად მოქმედებს ინფორმაცია მის მიერ გაცემული პასუხების ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის შესახებ.

მნიშვნელოვანია კითხვარის შედგენისას ყურადღება მივაქციოთ **კითხვარში გამოყენებულ ენას**. იგი არ უნდა იყოს რთული, ბუნდოვანი, ტერმინებით გადატვირთული, რადგან ეს უარყოფითად იმოქმედებს რესპონდენტის თავდაჯერებულობასა და მოტივაციაზე.

როდესაც რესპონდენტის განწყობებსა და შეფასებებს ვიკვლევთ ამა თუ იმ საკითხზე, აუცილებელია, ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ თავად კითხვა რაც შეიძლება ნეიტრალური იყოს და არ იყოს ბიძგის მიმცემი რომელიმე პოზიციის არჩევისთვის.

⁸ დეტალურად, შერჩევის ცდომილებების განმსაზღვრელ ფაქტორებთან დაკავშირებით, იხ. წულაძე, ლია. (2008). რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, გვ. 50-52

მაგალითად, დაუშვებელია კითხვა იწყებოდეს ფრაზით “რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ, რომ...”, “რამდენად მიუღებლად მიგაჩნიათ” და სხვ. ასევე დაუშვებელია, კითხვაში ამა თუ იმ მოვლენის შეფასება იყოს ჩადებული, მაგ. “როგორ მიგაჩნიათ, რით შეიძლება იყოს განპირობებული განათლების დაბალი დონე ქვეყანაში?” ასეთი კითხვები ტენდენციურია და გავლენას ახდენს რესპონდენტზე, მაშინაც კი, როდესაც ის შეიძლება არც იზიარებდეს ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებას. ამგვარი კითხვებით კი კვლევის ობიექტურ შედეგებზე ვერ გავალთ.

ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ კითხვებს შორის, ისევე როგორც პასუხებს შორის არ იყოს “გადაფარვა”, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მაგალითებში განვიხილეთ. გამოკითხვაში ასევე მნიშვნელოვანია ე.წ. **სენსიტიური** კითხვების სწორად დასმის ტექნიკა.

მაგალითად, გვსურს, გამოვიკვლიოთ პანდემიის პერიოდში, სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტების მოსაზრებები, საფასურის გადახდის მათთვის სასურველი გრაფიკის შემუშავებისთვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ პრობლემის გარშემო დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა სტუდენტებისთვის შეიძლება გარკვეულ უხერხულობასთან იყოს დაკავშირებული. ამ უხერხულობის შესამცირებლად სასურველია მაქსიმალურად ნეიტრალური ენის გამოყენება, რომელიც არ იქნება ემოციური (მაგ. ემპათიის შემცველი), რამაც შეიძლება დამამცირებლად იმოქმედოს რესპონდენტზე. ასევე შესაძლებელია ისეთი ტექნიკის გამოყენება, როგორიცაა პრობლემის მესამე პირზე გადატანა, მაგალითად: “ჩვენს უსდ-ში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ პანდემიით გამოწვეულმა სიტუაციამ სტუდენტებს გარკვეული პრობლემები შეუქმნა სწავლის საფასურის დროულად გადახდასთან დაკავშირებით. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოაგვარებდა ამ პრობლემას სტუდენტზე მორგებული გადახდის გრაფიკის შემუშავება? შემდგომი კითხვა კი შეიძლება უკვე უშუალოდ გრაფიკის ოპტიმალურ ვერსიებზე დავსვათ.

ასევე შესაძლებელია, სტუდენტს, გარდა სწავლის გადასახადისა, სხვა ხარჯების გაწევაც უხდებოდეს, როგორიცაა, მაგ. ბინის ქირის, ან საკვების ხარჯი. რიგ შემთხვევაში მას შეიძლება ოჯახის რჩენაც უწევდეს. ამ ვალდებულებების შესახებ სტუდენტი უფრო თავისუფლად შეძლებს საუბარს, თუკი პრობლემა “მესამე პირზე” იქნება გადატანილი. ამგვარად, კითხვა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ:

“გამოკითხვამ აჩვენა, რომ სტუდენტთა ნაწილს სწავლის საფასურის გარდა, სხვა ტიპის ხარჯებისთვის უწევთ თანხის მობილიზება. ამ ინფორმაციის ფლობა ძალიან სასარგებლო იქნება უსდ-სთვის, სტუდენტებზე მორგებული გრაფიკის შეთავაზებისთვის. თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორ შეაფასებდით, რა ტიპის ხარჯები უნდა იქნეს გათვალისწინებული ასეთი გრაფიკის შემუშავებისას?”

1. სტუდენტის პირადი ხარჯები (ყოველდღიური საჭიროებები)
2. სტუდენტის ოჯახური ხარჯები
3. სტუდენტის ოჯახის საბანკო ვალდებულებები
4. ...”

კითხვარის პილოტაჟი

იმისათვის, რომ ორაზროვნება, შინაარსობრივი ბუნდოვანება და გადაფარვა ცვლადებს შორის მაქსიმალურად იქნეს აღმოფხვრილი, აუცილებელია, კითხვარმა ე.წ. **პილოტირების** ეტაპი გაიაროს. პილოტირება გულისხმობს კითხვარის გამოცდას სამიზნე ჯგუფიდან შემთხვევითად არჩეულ წარმომადგენლებთან. პილოტირების პროცესში კითხვარში არსებული ხარვეზების გამოვლენისა და მისი დროულად გამოსწორების შესაძლებლობა გვაქვს, რაც მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ძირითადი სავლე სამუშაოს წარმატებულად წარმართვისთვის და გაუგებრობით და ბუნდოვანებით გამოწვეული შეცდომების თავიდან აცილებისთვის.

კვლევის შედეგების კოდირება

რაოდენობრივი კვლევის დასრულების შემდგომ, საჭიროა, შედეგები Excel -ის ცხრილში, ან სტატისტიკურ პროგრამაში (მაგ. SPSS-ში) იქნეს შეტანილი. ამისთვის აუცილებელია კითხვებზე გაცემული პასუხების იმგვარად კოდირება, რომ თითოეული პასუხის ვერსიას თავისი ნომერი ჰქონდეს. სასურველია ჯერ კიდევ კითხვარის შედგენის პროცესში მოხდეს კითხვებისა და სავარაუდო პასუხების დანომვრა, რათა შემდგომ გამოკითხვის შედეგების ასახვა ადვილი იყოს მონაცემთა ერთიან ბაზაში. თუმცა, მაგალითად, “ღია კითხვების“ კოდირება მხოლოდ კვლევის ჩატარების შემდგომ შესაძლებელი. კოდირების მთავარი პრინციპია, თითოეულ ცვლადს თავისი რაოდენობრივი აღნიშვნა ჰქონდეს.

რამდენადაც თანამედროვე ელექტრონული გამოკითხვის პლატფორმები ავტომატურად ახდენს კითხვარის შედეგების გენერირებას Excel-ის ცხრილებში, კვლევის შედეგების კოდირების საჭიროება, ფაქტობრივად, მხოლოდ ღია შეკითხვებისთვის არსებობს. Excel-ის ცხრილების სახით წარმოდგენილი მონაცემებიდან ბევრად უფრო მარტივია კვლევის შედეგებიდან დიაგრამების აგება, რაც შედეგების აღქმას აადვილებს და გამოკვეთილ ტენდენციებზე ვიზუალური დაკვირვების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. ეს კი, თავის მხრივ, ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს მონაცემთა ანალიზის პროცესში.

მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია

რაოდენობრივი კვლევის ბოლო ეტაპს მონაცემების ანალიზი წარმოადგენს. ანალიზი სამი ძირითადი ეტაპისგან შედგება, 1. მონაცემთა კატეგორიზება/ორგანიზება და გაწმენდა (შესაძლო შეცდომებისგან), 2. მონაცემების აღწერა (შედეგების სტატისტიკური სახით წარმოდგენა: პროცენტული გადანაწილების, დიაგრამების სახით და სხვ.) და 3. ჰიპოთეზის შემოწმება და/ან მონაცემებს შორის კორელაციების დადგენა (ანალიტიკური სტატისტიკა): ეს უკანასკნელი გულისხმობს სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით ცვლადებს შორის კვლევითი კითხვისთვის საინტერესო ურთიერთმიმართების გამორკვევას, კვლევის ჰიპოთეზის არსებობის შემთხვევაში კი - მის შემოწმებას.

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ რაოდენობრივი კვლევის მაგალითი, რომლის მიზანსაც სტუდენტებში უნივერსიტეტის მიმართ ლოიალობის საკითხის შესწავლა წარმოადგენს. ანალიზის ეტაპზე, ჩვენ შესაძლებლობა გვებლევა, გადავამოწმოთ ჰიპოთეზა შესწავლილ ფაქტორებს შორის (როგორებიც შეიძლება იყოს კურსელებთან და პედაგოგებთან პირადი ურთიერთობის ფაქტორი, უნივერსიტეტის სახელთან დაკავშირებული სტერეოტიპები, სტუდენტური სერვისების მრავალფეროვნება და სხვ.) გარკვეული კორელაციის არსებობის შესახებ, ან შესაძლოა, თავად ცვლადების გარკვეულმა განაწილებამ გვიბიძგოს ამა თუ იმ ცვლადებს შორის კაუზალური კავშირის, ან კორელაციის არსებობის აღმოჩენისკენ.

თვისებრივი კვლევის მეთოდი: მისი შესაძლებლობები და ძირითადი უპირატესობები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვისებრივი კვლევის მიზანი ამა თუ იმ პრობლემის სიღრმისეული გამოკვლევა, მისი სპეციფიკის შესწავლა და მისთვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციების აღმოჩენაა. თვისებრივი კვლევის განვითარება მეცნიერებაში ჰუმანიზმის პრინციპების წინ წამოწევას უკავშირდება. იგი კრიტიკულად უყურებს სოციალური ფენომენების შესწავლის **პოზიტივისტურ** მიდგომას, რომელიც ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდებს ეფუძნება და რაოდენობრივად გაზომვადი მახასიათებლებით ცდილობს სოციალური სინამდვილისა და სოციალური ფენომენების აღწერას. თვისებრივი მიდგომის ამოსავალი საკვლევ ობიექტთან **ინდივიდუალურ მიდგომაა** და იმ **კულტურული (სუბკულტურული/მიკროკულტურული) სპეციფიკის** გათვალისწინება, რომელიც განსაზღვრავს პრობლემასთან მიდგომას და მის აღქმას საკვლევის თემის/ჯგუფის წევრებში. ამდენად, თვისებრივი კვლევა ყოველთვის გამოკვეთს სუბიექტური

დამოკიდებულებისა და აღქმების მნიშვნელობას სოციალური ფენომენების შესწავლის პროცესში.

თვისებრივი კვლევა გარკვეულწილად იმეორებს რაოდენობრივი კვლევის ეტაპებს, თუმცა, რამდენადაც თვისებრივი კვლევის მიზანს არა სტატისტიკური სიზუსტის მიღწევა, არამედ თვისებრივი, შინაარსობრივი მხარის სიღრმისეულად წვდომა წარმოადგენს, ხშირად, კვლევის თითოეული ეტაპი განსხვავებულად წარმართება. მაგალითად **კვლევის საკითხის განსაზღვრა** თვისებრივი კვლევის შემთხვევაში, არ არის მკაცრი და კვლევის მიმდინარეობისას შეიძლება არაერთხელ შეიცვალოს, კვლევის მიმდინარე მიგნებებიდან გამომდინარე. ამიტომ, თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, ისევე როგორც თავად კვლევის პროცესი, მონაცემთა შეგროვების (საველე ეტაპი), მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის პროცესები არასდროს არის ისეთი ორგანიზებული, ფორმალიზებული, სტრუქტურირებული, მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოსა და კრიტერიუმებზე მორგებული, როგორც რაოდენობრივი კვლევის შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, თვისებრივი კვლევის შედეგები არანაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე რაოდენობრივი კვლევის შედეგები, პირიქით, ის შინაარსობრივად და თვისებრივად ბევრად უფრო მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის სოციალურ ფენომენებზე, ვიდრე რაოდენობრივი კვლევა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევა თითქმის ყოველთვის უფრო უკეთეს შედეგს გვაძლევს, როდესაც მასში კომბინირებულია კვლევის როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები.

თვისებრივი კვლევის ძლიერი მხარეები:

- საკვლევი პრობლემის გარშემო თვისებრივად ახალი, შინაარსობრივად მდიდარი და სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვების და შესწავლის შესაძლებლობა;
- კვლევის ფართო (ხშირად ინტერდისციპლინური) თვალსაწიერი;
- კვლევის პროცესების, ინსტრუმენტებისა და მონაცემთა ანალიზის მოქნილობა;
- ჰუმანისტური, სუბიექტური საზრისების გაგებასა და ინტერპრეტაციაზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც ცდილობს სამყაროს დანახვას კვლევის მონაწილის თვალთ.

თუმცა, ამ სიკეთეების მიუხედავად, თვისებრივ კვლევას, მისი არაფორმალიზებული და ნაკლებად ორგანიზებული ხასიათიდან გამომდინარე, მთელი რიგი პრობლემური ასპექტები ახასიათებს, როგორც კვლევის შედეგების ინდივიდუალურ/მიკრო დონეზე დარჩენა და მათი განზოგადების შეუძლებლობა. ასევე, თვისებრივ კვლევაში ხშირად რთულია, მეთოდოლოგიის სრულყოფილად მიდევნება, რამდენადაც არ

არსებობს მკაცრი ინსტრუქციები და წესები თვისებრივი კვლევის მეთოდებთან და ზოგადად კვლევის წარმართვასთან მიმართებაში, ისევე როგორც არ არსებობს კვლევის შედეგების ზუსტად გადამოწმების შესაძლებლობა.

თვისებრივი კვლევის ძირითადი ეტაპები

თვისებრივი კვლევის ძირითადი ეტაპები, ისევე როგორც რაოდენობრივი კვლევისას, შემდეგია:

კვლევის მიზნისა და საკვლევი კითხვის განსაზღვრა

თვისებრივი კვლევის დროს, კვლევის კითხვები ბევრად უფრო ფართოა და ნაკლებად კონკრეტიზებული, ვიდრე რაოდენობრივი კვლევის შემთხვევაში, ვინაიდან თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მიაგნოს საკვლევი პრობლემის განსაზღვრის, დახასიათებისა და ცნებათა გამოყენების იმ ფორმებს, რომლებსაც თავად საკვლევი ჯგუფის წევრები იზიარებენ. თვისებრივ კვლევას არა ცვლადებისა და კრიტერიუმების მკაცრად განსაზღვრა აინტერესებს, არამედ იმ მნიშვნელობების აღმოჩენა, რომლებიც ამ ცვლადებისა თუ კრიტერიუმების უკან დგას. ხშირად ისეც ხდება, რომ ცნებები, რომლითაც თვისებრივი კვლევა საწყის ეტაპზე ოპერირებს, სრულიად სხვა ცნებებმა ჩაანაცვლოს, რომლებიც უშუალოდ სამიზნე ჯგუფთან ჩატარებული სავსე კვლევის პროცესიდან წამოვა.

ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ რაოდენობრივი კვლევის მაგალითი, რომლის კვლევის საგანიც შეიძლება იყოს კონკრეტულ უსდ-ის სტუდენტებში უნივერსიტეტის მიმართ ლოიალობის საკითხის შესწავლა. თავისუფლად შეიძლება ეს საკითხი თვისებრივი კვლევის საგნადაც ვაქციოთ, თუმცა ამ შემთხვევაში შეიცვლება კვლევის კითხვები. თვისებრივი კვლევის კითხვები კვლევის ამ საგანთან მიმართებაში შეიძლება იყოს: როგორ შეიძლება განისაზღვროს ლოიალობა, როგორ ყალიბდება უნივერსიტეტის მიმართ ლოიალობა, რა არის მისი მახასიათებლები და როგორ არის შესაძლებელი მისი გაზომვა? შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ცნება “ლოიალობა” სხვა ეკვივალენტებით ჩაანაცვლდეს, რომელიც კონკრეტული სუბკულტურის (ამ შემთხვევაში უნივერსიტეტის) შიგნით გამოიყენება.

ამგვარად, თვისებრივი კვლევის მიზანია, პასუხი გასცეს კითხვებს: რას წარმოადგენს კვლევის ობიექტი? როგორ აღიწერება ის ამა თუ იმ კულტურის/სუბკულტურის

შიგნით? რა კულტურული მნიშვნელობები და რა ცოდნები დგას იმ ცნებების უკან, რომლებიც ამა თუ იმ საკვლევი პრობლემის აღსაწერად გამოიყენება და ა.შ.

კვლევის მეთოდის შერჩევა, საორიენტაციო გზამკვლევის შექმნა

თვისებრივი კვლევა მონაცემთა შეგროვების ისეთ მეთოდებს იყენებს, როგორცაა: სიღრმისეული ინტერვიუ, ნარატიულ-ბიოგრაფიული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, (ჩართული) დაკვირვება, ტექსტების სიღრმისეული ანალიზი (დისკურს-ანალიზი, თვისებრივი კონტენტ-ანალიზი), შემთხვევის შესწავლა და სხვა.⁹

თვისებრივ კვლევაში ასევე დაშვებულია ინფორმაციის მოპოვების განსხვავებული ტექნიკების ინტეგრირებაც, რაც მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს, უფრო ფართო და მრავალმხრივ პერსპექტივაში დაინახოს საკვლევი ობიექტი.

კვლევის მეთოდის შერჩევა, თვისებრივი კვლევის შემთხვევაში, დამოკიდებულია საკვლევი თემისა და საკვლევი ჯგუფის სპეციფიკაზე. რამდენადაც მკვლევრისთვის პირველი რიგის პრიორიტეტს კვლევის მონაწილის (რესპონდენტის) ნდობის მოპოვება და მასთან თავისუფალი, გულახდილი საუბარი წარმოადგენს, სასურველია, რომ მეთოდიც ამ პრიორიტეტის შესაბამისად იქნეს შერჩეული.

რაოდენობრივი კვლევისგან განსხვავებით, თვისებრივ კვლევაში არ გამოიყენება სტრუქტურირებული კითხვარი, სავარაუდო პასუხებით. მკვლევარი ინტერვიუსთვის მხოლოდ საორიენტაციო გაიდს (გზამკვლევს) შეიმუშავებს, რომლებშიც იმ საკითხებს მონიშნავს, რომელთა გარშემოც სურს ესაუბროს კვლევის მონაწილეს (რესპონდენტს). სავსებით დასაშვებია, ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ჩატარებისას ინტერვიუერმა/მოდერატორმა სპონტანურად დასვას მისთვის საინტერესო შეკითხვა.

ის, რაც თვისებრივი კვლევის ყველა მეთოდს აერთიანებს, ესაა მათი მოქნილი, სიტუაციასა და გარემოზე ინდივიდუალურად მორგებული მიდგომა და მიზანი, საკვლევის ჯგუფის (თემის) თვალთ დაინახული სინამდვილე მაქსიმალურად იქნეს გაშუქებული კვლევის შედეგებში. შეიძლება ითქვას, რომ თვისებრივი კვლევის მეთოდში დახელოვნება მეტწილად მისი ხანგრძლივი პრაქტიკული განხორციელების შედეგად მიიღწევა.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითში, კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ინსტრუმენტის სახით შეიძლება შევარჩიოთ სიღრმისეული ინტერვიუ და ასევე ფოკუს-

⁹ დაწვრილებით აღნიშნული მეთოდების შესახებ იხ. წულაძე, ლია (2020), სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ასევე: შდრ. ზურაბიშვილი თინათინ. (2006), თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ჯგუფი და თითოეული ინსტრუმენტისთვის შესაბამისი გაიდი (საკვლევი საკითხებისა და კითხვების მონახაზი) შევქმნათ.

შერჩევა

თვისებრივი კვლევის შემთხვევაში **შერჩევა** სრულიად სხვა მიზანს ემსახურება, ვიდრე რაოდენობრივ კვლევაში. შერჩევა არ ემსახურება რეპრეზენტატულობას, რამდენადაც ეს უკანასკნელი თვისებრივი კვლევისთვის არარელევანტურია. თვისებრივი კვლევის დროს მკვლევრისთვის კვლევის მონაწილის (რესპონდენტის) შერჩევის პროცესში პრიორიტეტულია პრობლემასთან რაც შეიძლება ახლოს მისვლა და იმ ინფორმანტების მოძიება, რომლებიც ამა თუ იმ პრობლემას, თავიანთი კომპეტენციიდან ან ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, უფრო ახლოს იცნობენ. ამდენად, შერჩევა ძირითადი მიზნის შესაბამისად, არაალბათური მეთოდით ხორციელდება.

ზემოთ აღნიშნულ მაგალითში, კვლევის მონაწილეებად (რესპონდენტებად) შეიძლება იქნან შერჩეული როგორც სტუდენტები, ასევე სფეროს ექსპერტები. ექსპერტებს კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდნენ იმ ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთაც სტუდენტებთან ურთიერთობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ. ასეთები შეიძლება იყვნენ როგორც აკადემიური პერსონალის, ისე ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები (მაგ. სტუდენტური ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლები), რომელთაც გარკვეული გამოცდილება, ცოდნა და შეხედულებები აქვთ ჩამოყალიბებული ამ საკითხის გარშემო.

მონაცემების შეგროვება

თვისებრივი კვლევის პროცესში მონაცემების შეგროვებისთვის, როგორც წესი, უფრო დიდი დრო არის საჭირო, ვიდრე რაოდენობრივი კვლევის სავსე სამუშაოებისთვის. თუ სიღრმისეული ინტერვიუ ერთი საათი მაინც გრძელდება, ფოკუს-ჯგუფისთვის დაახლოებით ორი საათი არის გამოყოფილი. ეს იმითაა განპირობებული, რომ საუბარი თავისუფალი ხასიათისაა და ნაკლებად არის რეგლამენტირებული. მეტი ავთენტურობის შენარჩუნებისთვის, ინტერვიუების აუდიო, ან ვიდეოჩაწერა ხორციელდება, რაც შემდგომში მოითხოვს ჩანაწერის ტრანსკრიფციას, ანუ მის სიტყვასიტყვით გადმოტანას, ტექსტის სახით, რაც ასევე დიდ დროსა და რესურსს მოითხოვს.

მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია

არ არსებობს თვისებრივი მონაცემების ანალიზის ერთი უნიფიცირებული მეთოდი, ამდენად ანალიზის პროცესი თითქმის ყოველი კვლევის დროს ინდივიდუალურად წარმართება. გამოყოფენ ანალიზის რამდენიმე ტიპს, მაგალითად, **ნარატიულ ანალიზს**, რომელიც ძირითადად ინტერვიუს მთლიანი სტრუქტურის აღქმაზეა ორიენტირებული. **თემატური ანალიზი**, ამისგან განსხვავებით, უფრო მეტად კონკრეტული თემების გარშემო აკუმულირებულ ინფორმაციაზე ამახვილებს ყურადღებას.

მიუხედავად იმისა, რომ თვისებრივი კვლევის შედეგების სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი არ ხდება, არსებობს პროგრამები, რომლებიც შეგროვილი მონაცემების მოწესრიგებასა და კატეგორიზაციაში ეხმარება მკვლევარს, ასეთია, მაგ. NVivo, Atlas.ti და სხვ.

რეზიუმე

წინამდებარე მეთოდოლოგიური გზამკვლევის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა სოციოლოგიური კვლევის მეთოდების პროდუქტიულად გამოყენების შესაძლებლობები უმაღლესი განათლების სფეროში. განხილული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, მათი სპეციფიკა და კვლევის ჩატარების ეტაპები. ასევე, ცალკეული ნიმუშების სახით, წარმოდგენილი იქნა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში კვლევის ცალკეული მეთოდების ეფექტიანი გამოყენების სტრატეგიები. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამყაროში, რომელშიც სულ უფრო იზრდება მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზზე დაფუძნებული მიდგომების მნიშვნელობა, მუდმივად ფართოვდება სოციოლოგიური კვლევების გამოყენების არეალიც. მათ შორის, მონაცემთა ანალიზზე დაფუძნებულ მიდგომებს მზარდი გამოყენება აქვს ზოგადი განათლების სფეროშიც. გზამკვლევაში განხილული სოციოლოგიური კვლევის მეთოდები ასევე პროდუქტიულად შეიძლება იქნეს გამოყენებული ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სფეროშიც. წინამდებარე გზამკვლევის დანიშნულებაა, დაინტერესებულ პირებს უფრო ახლოს გააცნოს სოციოლოგიური კვლევის მნიშვნელობა, კვლევის ცალკეული მეთოდები და შესძინოს საბაზისო უნარები მათი პრაქტიკულად გამოყენების მიმართულებით.